ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

# სასოფლო გაზეთი

№ 9. 1920 წ. კვირა, მაისის 2, წელიწადი პირველი № 9.

ფასი 3 მან.

**გაზეთს აქვს შემდეგი განყოფილებანი:**

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება, სიტყვა-კაზმული მწერლობა და სხვა...

**„სასოფლო გაზეთში“**

მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები, ცნობილი მწერლები და გამოცდილი მეურნენი. რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში. ═══ გაზეთის ფასი თვიურად 12 მან ═══ კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე, მისამართი დამფუძნებელ კრების ქ. № 5, „საქართველო“-ს ბინაზე.

## ბოლშევიკების მოახლოვება.

ჩვენს მეზობელს ქვეყანაში—აზერბეიჯანში ბოლშევიკური მთავრობა გამოცხადდა. ყოველივე ეს ამბავი ერთს დღეში დაიწყო და კიდეც გათავდა. დილით გადალახეს ბოლშევიკებმა აზერბეიჯანის საზღვარი, დაადგნენ რკინის გზას ჯავშნიან მატარებლებით და ღამით უკვე ბაქოში იყვნენ. არავის არ გაუწევია წინააღმდეგობა. თოფიც არ გაუსვრიათ ბაქოში მისვლამდე, ხოლო ბაქოში რომ შესულან ჰაერში გაუსვრიათ რამოდენიმეჯერ მექორწილეებივით. ბრძოლის რომ თავი დავანებოთ, უბრალო რკინის გზის გაფუჭებით და ხიდების აფეთქებით შეეძლო აზერბეიჯანს ბოლშევიკების შეჩერება რამდენიმე დღით მაინც. მაგრამ მას ესეც არ მოუხდენია. ეს ყველას გააკვირვებს, როგორ მოხდა ესაო. მაგრამ აქ გასაკვირველი არაფერია. ბაქოს მთავრობა ფარულად შეუთანხმდა ბოლშევიკებს და ჩუმად მას კარები გაუღო. თორემ მას თავის თავისუფლების დაცვა რომ ნდომოდა, განა ყარაბაღში ასტეხდენ სომხების ჟლეტას და ჯარებს იქით გაგზავნიდნენ? ცხადია, რომ ბაქოს მთავრობა ბოლშევიკებს შეუთანხმდა ისევე, როგორც ბოლშევიკები შეთანხმებული არიან ოსმალეთის ძველ მთავრობასთან. რა სურთ მათ? მათ უნდათ მთელი აღმოსავლეთის ველური ქვეყნები აუმხედრონ ევროპის სახელმწიფოებს, ბოლშევიკებს და ოსმალებს უნდათ აუჯანყონ ინგლისს და საფრანგეთს სპარსეთი, ინდოეთი და ინდოსტანი. ბაქოს ძველ მთავრობას ბოლშევიკები ალბად დაპირდებოდენ: იცნეთ საბჭოთა მთავრობა, შეუთანხმდით ლენინის მთავრობას და თქვენ ხელს არ გახლებთ, თქვენს ადგილზე დაგტოვებთო. მაგრამ ბოლშევიკებმა ეს დაპირება მაშინვე დაივიწყეს, როგორც ბაქოში შევიდნენ. ძველი მთავრობა დაატყვევეს და მმართველი პარტიაც კანონს გარეშე გამოაცხადეს. ამ რიგად ჩვენს მეზობელს ისე მოექცნენ, როგორც მას ეკადრებოდა. მთავრობა, რომელიც თავის ქვეყნის თავისუფლებას ასე იოლად გასწირავს ბოლშევიკების დაპირებისთვის, ყველაფრის ღირსია.

ცხადია, რომ აზერბეიჯანის ხალხში კიდევ გამოჩნდება ისეთი წრეები, რომელნიც თავის ქვეყნის თავისუფლების ასე ქურდულად გაყიდვას არ შეურიგდებიან და ბოლშევიკური მთავრობა ადვილად ვერ დაიმორჩილებს აზერბეიჯანს ხალხს.

ბაქოში ბოლშევიკებს სულ ცოტა ძალები მოუყვანიათ - ხუთი ათასი კაციც კი არ ყოლიათ. ეს ძალები მათ ჩრდილო კავკასიიდან წაიყვანეს და იქ მათ აღარაფერი დარჩათ. ამასთან ყირიმიდან მათზე შეტევა დაიწყეს დობროვოლცებმა (დენიკინის ჯარებმა), რომელნიც იქ იყვნენ შეჩერებული დასასვენებლად. შავი ზღვიდან მათ უტევს აგრეთვე მახნო, უკრაინიდან პეტლიურა, პოლონეთიდან კი მეტად მრავალრიცხოვანი პოლონეთის ჯარი, რომელიც კარგა ხანია ბოლშევიკებს ებრძვის და სულ უკან ახევინებს. მუდმივმა ომმა შიგნითაც მეტად გაურთულა საქმე ბოლშევიკებს. ქალაქები დამშეულია. რკინის გზები დამსხვრეული და გაფუჭებული. ქარხანა-ზავოდები აღარ მუშაობენ, რადგან სამუშაო მასალა აღარ ეშოვებათ ასეთ პირობებში ბოლშევიკებს არ შეუძლიათ დიდი ძალების ჩვენკენ წამოყვანა. ისინი იმარჯვებდნენ დენიკინზე მხოლოდ იმიტომ, რომ დენიკინს თვითონ შიგნით ჰქონდა საქმე არეული და ანარქია გამეფებული. ხოლო სადაც ის წინ ხვდება სახელმწიფოებრივად მოწყობილ ქვეყანას, სადაც არის წესრიგი და ხალხი მხარს უჭერს თავის მთავრობას სამშობლოს დაცვის საქმეში, იქ ბოლშევიკები ყველგან მარცხდებიან.

ვერავერს გახდნენ ისინი ფინლიანდიასთან, ესტონიასთან, ლიტვასთან, თუმცა ეს ქვეყნები ჩვენსავით პატარა ქვეყნებია. პოლონეთს ხომ ბოლშევიკები ახლოც ვერ ეკარებიან. ამიტომ ჩვენი ცუდი მეზობლის ასე მუხანათური ღალატი არ უნდა გვაშინებდეს, მას არასოდეს არ ჰქონია სახელმწიფო, ის მუდამ სხვისი მონა იყო, ხან სპარსეთის მორჩილი იყო, ხან ჩვენი, ხან კიდევ სხვისი.

ჩვენ მხარს უჭერდით რევოლუციის დროს მის განთავისუფლებას. ვფიქრობდით ის მოიხმარდა თავისუფლებას. მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში მონობაში აღზრდილმა ხალხმა ვერ შეიგნო თავისუფლება და ისევ მონობის უღელს გაუწია კისერი.

ჩვენი სამშობლო ძველადაც სხვა გზით მიდიოდა და ეხლაც სხვა გზით წავა. მას ორი ათასი წლის განმავლობაში ჰქონდა თავისი საკუთარი სახელმწიფო. ის ამ თავისუფლებასთან შეზრდილა, ასი წლის რუსეთის მონობას ძლივს თავი დააღწია და, რა საკვირველია ეხლა მას ვერავინ დაიმონებს ისე, როგორც ეს აზერბეიჯანს უყვეს. ყოველი ქართველი მზად არის თავი გასწიროს თავის ქვეყნისთვის, თავის სამშობლოსთვის.

მთელი ქართველი ხალხი შეერთდება ბოლშევიკებთან საბრძოლველად, არ იქნება რყევა და უთანხმოება არც ერთს წრეში არც ერთს ჯგუფში. სოფლის მეურნე, ქალაქის მცხოვრები, მესაკუთრე და მუშა ყველანი უნდა შეერთდნენ ბოლშევიკებთან საბრძოლველად, უკეთუ ისინი საქართველოს საზღვრებს მოუახლოვდებიან.

ბოლშევიკებმა სრულიად დააქციეს რუსეთი. გაანადგურეს ქალაქები, დაამშიეს და გააღატაკეს მათი მცხოვრები. მოსპეს ყოველივე წარმოება, გამოიწვიეს არეულობა და ანარქია სოფლებში. სოფლის მშრომელთა საკუთრების ჩამორთმევა განიზრახეს და მით მთელს გლეხობაში აჯანყება გამოიწვიეს.

ასეთივე ბედი ეწვევა ჩვენს ქვეყანას აქ ბოლშევიკები რომ მოვიდნენ.

ამას კი არავინ შეურიგდება. ყოველი ქართველი იარაღით ხელში დაიცავს თავის სამშობლოს და თავისუფლებას. ასეთ დროს უნდა შესწყდეს ჩვენში დროებით ყოველ გვარი პარტიული ბრძოლა და უთანხმოება ყველა უნდა შევერთდეთ სამშობლოს დაცვის საქმეში და უნდა გვწამდეს რომ სამშობლოს დამოუკიდებლობას ვერვინ წაგვართმევს.



მტრის მოლოდინში

ნახ. ვალ. სიდ. ერისთავისა.

## პრესსა

### მომდგარ საფრთხეზე

**„სახალხო საქმე“**

„როგორც მოსალოდნელი იყო, აზერბაიჯნის მთავრობამ წაიჩოქა საბჭოთა რუსეთის წინაშე: ბაქო დღეს კომმუნისტების ხელთ არის და ადვილი შესაძლებელია, რომ მათივე გამგებლობა ახლო მომავალში მთელს აზერბეიჯანში დამკვიდრდეს. ბოლშევიკურ რუსეთს სამხრეთისაკენ გზას უკაფავენ თვითგამორკვეულ მცირე ერთა მტრები, ხოლო მათ რიგში ოსმალეთს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს...

საქართველო საფრთხის მოლოდინში უნდა იყოს! ჩვენი მთავრობა და ხალხი ვერ გადასცემს დაწყნარებულ ქვეყანას იმათ, ვისი მეოხებითაც აოხრდა მთელი რუსეთი ნიავს მიეცა ხალხის დოვლათი და დაინთხა ზღვა სისხლი!

უპირველესი საზრუნავი საქართველოს მთავრობისა უნდა იყოს საქართველოს საზღვრების დაცვა და დედა-ქალაქის გამაგრება.

აზერბეიჯანის მხრით მტერი შემოგვიტევს არა მარტო რკინის გზის მიმართულებით: მტრის მთავარ ბაზად უცილოდ შეიქნება ის მხარე ჩვენი სამშობ-

# კვირიდან კვირამდე

**აზერბაიჯანის ჯარი ბოლშევიკებთან ერთად სომხეთისკენ ილაშქრებს ქემილ ფაშასთან შესაერთებლად.**

**ბაქოს რევოლუციური კომიტეტი მოსკოვს ჯარით დახმარებას სთხოვს.**

**აზერბაიჯანის სამხედრო—სარევოლუციო კომიტეტმა აუწყა მოსკოვს, რომ იგი სწყვეტს ყოველგვარ კავშირს ანტანტასთან და „საბჭოთა რუსეთის სხვა მტრებთან".**

**სან—რემოს კონფერენცია დაიხურა, შეიმუშავა რა ოსმალეთთან საბოლოო საზავო პირობები და გადასწყვიტა რა გერმანიის საკითხი.**

ლოიხე, რომელიც დღესაც აზერბეიჯანის გამგებლობაშია. საქართველოს სამხედრო ბედს ზაქათალის ოლქი გადაწყვეტს. ეს კუთხე ჩვენმა ჯარებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიჭირონ, თუ კი მართლა დავისახავს მიზნად ჩვენი რესპუბლიკის დაცვა. ზაქათლის ოლქში გამაგრებული მტერი საგონებელში ჩააგდებს არა მხოლოდ ქიზიყ კახეთს—თვით ტფილისის ალაყაფიც ღია იქნება მისთვის...

ზაქთლის ოლქში სასიკვდილო ლახვარს უმზადებენ საქართველოს სახელმწიფოს: ჩვენი დროზე მიღებული ზომებით, ალბად, ავიცდენთ კარზე მომდგარ საფრთხეს.

საქართველოს მთავრობა დღეს თავისუფალია ყოველივე ვალდებულობისგან- ის იცავს მხოლოდ თავის სუვერენობას, თავის ხალხსა და სიზღვრებს".

**„ერთობა"**

„27 აპრილს, დილით, ბოლშევიკურმა ჯარებმა გადალახეს აზერბეიჯანის საზღვარი. იმავე დღეს 1 საათამდე მათი ჯარის ნაწილები სად. ხაჩმასში მოვიდნენ 28 აპრილს ღამის ორ საათზე ისინი უკვე ბალაჯარში არიან, ბაქოში ბოლშევიკური გამოსვლა ხდება და მათ ხელში გადადის. მხოლოდ ამ ფაქტების აღნიშვნაც კმარა იმის გასაშუქებლად, თუ როგორ მოხდა გადატრიალება აზერბეიჯანის რესპუბლიკაში. აქ არ იყო არავითარი თავდაცვა; ბოლშევიკები მოვიდნენ ჩრდილოეთიდან ისე, როგორც ჩვეულებრივი პასაჟირები მოდიან სასწრაფო მატარებლით. მათ წინ არ დახვედრიათ ავითარი წინააღმდეგობა, არავითარ ჯარს არ შეუშლია მათთვის ხელი. არც ერთი ხიდი არ აუფეთქებიათ, რკინის გზაზე ერთი რელსიც არავის აუყრია გადმოლახეს საზღვრები და ჯავშნიან მატარებლებით მოადგნენ ბაქოს; ბაქოში კი უკვე წინათვე იყო დამზადებული ბოლშევიკების თანაგრძნობი ელემენტები, რომელთა მზადებასაც თითქმის არავინ უშლიდა ხელს.

ამგვარად ამიერ კავკასის რესპუბლიკათა წრიდან გამოდის ერთი წევრი. დღეს მის ადგილას ჩნდება ახალი მეზობელი, რომელთანაც ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა განწყობილება გვექნება, რომელიც, ხმატროდ მოდის, ვიდრე სამეგობროდ.

ჩვენი მდგომარეობა დღეს იქნება უკეთესიც იყოს ვიდრე გუშინ. ჩვენ დღეს დღეს ხელები გვაქვს გახსნილი და შეგვიძლიან თავდაცვა მოვაწყოთ ისე, როგორც ამას მხოლოდ ჩვენი საკუთარი ინტერესები გვიკარნახებს.

საბჭოთა რუსეთმა უბრძოლველად შეირთა მთელი სამხრეთი რუსეთი, რადგან იქ მას არ დახვდა არავითარი ძალა, რომელსაც შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მისთვის: შედარებით იმ შავ რეაქციასთან რომელიც იქ მძვინვარებდა, „წითელი" რუსეთი მცხოვრებთათვის მაინც უფრო მისაღები გამოდგა. საქართველო ერთად-ერთი ნამდვილი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა. რომელთანაც საბჭოთა რუსეთს ექნება საქმე. ამ სახელმწიფოში ხალხის ხელმწიფება განმტკიცებული. ჯგუფური და კერძოობითი აქ მსხვერპლად ეწირება „მთელს".

# მთავრობის თავმჯდომარის მოწოდება.

**საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის შტაბებს და აფხაზეთის კომისარიატს**

ჩრდილოეთის საფრთხე საქართველოს კიშკარს მოადგა. ბაქოში უბრძოლველად შევიდა ბოლშევიკების ჯარი და იქ საბჭოთა მართველობა გამოაცხადა. აზერბეიჯანმა კარი გაუღო მათ, რაც მოწმობს მოსკოვისა და არზრუმის წინასწარ შეთანხმებას. საქართველოს დემოკრატია და მისი ამდენი ხნის შემოქმედებითი მუშაობა განსაცდელშია.

ჩვენ ქვეყანას მოელის ისეთივე განადგურება და სისხლიდან დაცლა, როგორც განადგურებულია და დაუსრულებულ ომებით სისხლიდან იცლება რუსეთი. ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. ჩვენ მდგომარეობას ვიხსნით მხოლოდ ჩვენ, ჩვენი ერთსულოვანება და მომხდურთა წინაშე მედგრად დარაზმვა.

მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას ქვეყანა ამ უბედურებისაგან, ააცდინოს მშრომელ ხალხს ეს მწარე ფიალა, იხსნას ის დარბევისაგან და მოგიწოდებს თქვენ და თქვენთან ერთად მთელ დემოკრატიას ფეხზედ დააყენოთ მთელი თქვენი ძალა, შემოკრბეთ მთავრობის და დამფუძნებელ კრების გარშემო, დაუყოვნებლივ შეასრულოთ მთავრობის ბრძანებები, დაიცვათ შიგნით სასტიკი წესრიგი, შეაზეროთ ერთგულთ მხნეობა და ენერგია, სამაგიერო მიუძღვნათ ორგულთ და მოღალატეთ და მით გადაარჩინოთ სამშობლო აოხრებისგან.

მთავრობამ უკვე გამოაცხადა მობილიზაცია, დანიშნა თავდაცვის საბჭო, აირჩია სარდალი, ჩააყენა აღმოსავლეთ საქართველო სამხედრო წესებში, მიიღო ყველა წინასწარი ზომები.

დე, თითოეული თანამდებობის პირი იდგეს თავის პოსტზე და პირნათლად შეასრულოს თავის მოვალეობა.

მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

1920 წ. აპრილის 28.

დედანთან სწორია საქ. მწარ. თ. გველესიანი.

## მობილიზაცია

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გამოაცხადა ნაწილობრივი მობილიზაცია: გაწვეულნი არიან ჯარში ყველა სათადარიგო და მოლაშქრენი დაბადებულნი 1888, 1779, 1894 და 1895 წლებში.

გაწვეულნი არიან აგრეთვე ექიმები 35. წლიანებამდე.

## სამხედრო წესები

თავდაცვის საბჭოს დადგენილებით სამხედრო წესები გამოცხადდა ტფილისში, აგრეთვე შემდეგს მაზრებში: ტფილისისა, სიღნაღისა, თელავისა, ბორჩალოსი, თიანეთისა, დუშეთისა, გორისა, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში.

## მთავარ-სარდალი

საქართველოს ჯარების მთავარ-სარდლად დაინიშნა გენერალი კვინიტაძე.

## თავდაცვის საბჭო.

დაარსდა თავდაცვითი საბჭო. საბჭოში შედიან: ნ. ჟორდანია, გარეშე საქმეთა მინისტრი, სამხედრო მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე გედევანიშვილი გენერალი კვინიტაძე და ზაქარიაძე.

— **სამხედრო ცენზურა.** თავდაცვითი საბჭოს დადგენილებით დაარსდა სამხედრო ცენზურა.

**ბოლშევიკების აგენტები საქართველოსკენ.**

დონის როსტოვიდან რედაქციას ცნობა მოუვიდა, რომ იქაურ კომუნისტების მთავარ კომიტეტს შეუდგენია ბოლშევიკ პროპაგანდისტების ორგანიზაცია 50 კაცისაგან, რომელთათვისაც დიდძალი ფული მიუცია და დაუვალებია საქართველოსკენ გამოგზავრება ვითომდა ფოტოგრაფიულ და კინემატოგრაფიულ სურათის გადასაღებად. ამ ორგანიზაციას დავალებული აქონია სასტიკი ბოლშევიკური პროპაგანდა აწარმოოს საქართველოში. კომუნისტების აგენტების ნაწილი უკვე წამოსულა საქართველოსკენ.

„სახ, საქ."

**ბოლშევიკები და ოსმალეთი.**

ბოლშევიკთა ოფიციალურ გაზეთში „კომუნისტი" (კავკავში გამოდის) № 8, აპრილის 17, ვკითხულობთ: ტყუილად კი არ იწვევს უკან ოსმალეთი თავის ოფიცრებს, ამიერ-კავკასიიდან და განკარგულებას აძლევს აზერბეიჯანს საბჭოთა (ბოლშევიკების) ჯარის წინააღმდეგ არ იბრძოლოს, ოსმალეთი რუსეთს უცქერის, როგორც თავისს მხსნელს, ერთად-ერთს იმედს მოკავშირეთაგან გასანთავისუფლებლად. გაუმარჯოს რუსს გლეხებს და რუსს მუშებს". ათავებს თავის სიტყვას ბოლშევიკი.

აქედან ყველასათვის ცხადია, რომ ბოლშევიკები ოსმალეთის ფაშებს შეუთანხმდნენ, ხოლო მონა აზერბეიჯანი ოსმალეთის ბრძანებას დაემორჩილა და კომუნისტებს კარები გაუღო

**ბაქოს აღება.**

აპრილის 28-ას ბაქოდან მიღებულ ცნობებით აპრილის 27 დილით ბოლშევიკურმა ძალებმა გადალახეს მდინარე სამური და ბალაჯარისკენ გაემართნენ. აზერბეიჯანის ჯარებმა უკან დაიხია აპრილის 28-ს დილით ბოლშევიკების ჯავშნიანი მატარებელი ბაქოს მიადგა. ბაქოში საბჭოთა მართველობა გამოაცხადდა. შეიარაღებული შეტაკებანი არ ყოფილა. აზერბეიჯანის მთავარი სამხედრო ძალები ყარაბაღსა და განჯის რაიონში იყვნენ.

**ბაქოს დელეგაცია ბოლშევიკებთან.**

როგორც გვატყობინებენ, იმ დროს, როდესაც ხაჩმაზს ბოლშევიკები მოადგნენ, მათთან მოლაპარაკების გამართვისთვის გაიგზავნა საგანგებო დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ პოლიტიკურ პარტიების თვალსაჩინო წარმომადგენელნი. მოლაპარაკების შინაარსი გამოურკვეველია შემდეგი კი ის იყო, რომ ბოლშევიკებმა უბრძოლველად დაიჭირა ბაქო.

# ახალი ამბები

## სოფლად და ქალაქად

**ბრიტანეთის ახალი კომისარი.**

ოლივერ უორდროპის მაგივრად, რომელიც ამიერ-კავკასიიდან გაემგზავრა, ბრიტანეთის უმაღლეს კომისრად ამიერ-კავკასიაში დანიშნულია ლეიტენანტ-კომანდირი ედმონდ ლუკი.

**ჩაქვის ხიდი.**

სპეციალისტების გამორკვევით აფეთქებული ჩაქვის ხიდის შეკეთება მაისის პირველამდე კიდეც დასრულდება.

— **ჩაქვის ხიდის აფეთქების** საქმის გამოსაძიებლად წასულნი პირნი უკვე დაბრუნდნენ ტფილისს. საქმის გამოძიება სწარმოებდა მეტად ცუდს პირობებში, მაგრამ ბოროტმოქმედების კვალი მაინც იქნა მიგნებული. ამ საქმის გამო რამდენიმე კაციც არის დაპატიმრებული შესაძლებელი იყო ბოროტმოქმედების ყველა მთავარ მონაწილის შეპყრობა, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ინგლისის სარდლობამ, რომელმაც გამომძიებელთ თავისუფალ მოქმედების საშუალება მოუსპო. როგორც გავიგეთ. ამის გამო ინგლისს პროტესტი გაეგზავნება. ხიდის აფეთქების საქმის წარმოება მინდობილი აქვს ქუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელს დევიძეს.

— **ერობის მოწოდება.** ერობათა კავშირის მთავარმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა ერობებს, რათა მათ ხელი შეუწყონ მობილიზაციის ცხოვრებაში გატარებას.

— **მატარებელთა მიმოსვლა.** აპრილის 28-დან აზერბეიჯანში მომხდარ ამბების გამო ტფილისსა და ბაქოს შუა მატარებელთა მიმოსვლა შესწყდა.

— **სადგურის შენობა.** მაისის 1 გაიხსნება ტფილისის რკინის გზის სადგურის ახალი შენობა.

— **ნავთი.** გუშინდლიდან ტფილისში ვაჭრებმა ნავთის ფასი აწიეს.

## სასოფლო-მეურნეობა

**სესხი მემატყლეთა და მეაბრეშუმეებს.**

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოხსენებით მთავრობამ გადასდო სამოცდა ხუთმეტი მილიონი სესხი მეაბრეშუმეთა და მემატყლეებისთვის.

**სამეურნეო იარაღების შესაძენად.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ ევროპაში გაიგზავნა ს. ხუნდაძე, რომელიც სამეურნეო სხვა და სხვა იარაღებს შეიძენს საქართველოსთვის.

**მანქანები.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელზე ბათუმში მოვიდა სხვა და სხვა სამეურნეო მანქანები, აპარატები და ხელსაწყოები.

— **თანხის გადადება.** მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრონომიულმა განყოფილებამ 72,000 მანეთი გადასდო ბალბიანის სანერგე მამულის გასაფართოვებლად.

— **საერობო ინჟენერი.** ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ მთავარ საერობო ინჟენრის თანამდებობაზე მიიწვია ინჟ. გ. ქურდიანი,

## უცხოეთი

**ოსმალეთის დანაწილება.**

საზავო კონფერენციას განზრახული აქვს ოსმალეთი ცხრა ნაწილად გაჰყოს: კერძოდ ოსმალეთზე, სმირნის ბერძნული რაიონი, იტალიის რაიონი, ქურთული ტერიტორია საფრანგეთის მფარველობის ქვეშ, ლაზისტანის რესპუბლიკა ოტრაპიზონით, რომელიც საგანგებო პირობებით შეეკვრება სომხეთს და, ბოლოს ბათუმის რესპუბლიკა, რომელიც იქნება დაცული სამი ბათალიონით: ინგლისურით. ფრანგულით და იტალიურით.

## ქართული გაზეთი.

**მეტად სავალალოსა და მძიმე მდგომარეობაში იმყოფება დღეს კერძოდ** ქართული გამომცემლობის საქმე.

საერთაშორისო სიძვირემ ცეცხლი მოუკიდა სასტამბო მასალასა და ქაღალდს, რომელთა ფასიც დღითი დღე იზრდება.

ამასთან ვერც საერთაშორისო ომმა, ვერც რევოლუციამ და ვერც საქართველოს დამოუკიდებლობამ იმდენი მკითხველი ვერ შესძინა ქართულ გაზეთს, რომ მისგან უზრუნველ ყოფილი იყოს გაზეთის არსებობა.

არ არის ქართული გაზეთი, რომელსაც მუდამ თვე დიდი ზარალი არ მოსდიოდეს და ყოველი რედაქცია იძულებულია დიდი მსხვერპლით დაფაროს აუარებელი ზარალი.

ეს სამწუხარო მოვლენა ადასტურებს იმას, რომ ჩვენში დღემდე არ არის სულიერი საზრდოს საჭიროება.

განათლებულ ქვეყნებში კი, გინდაც

სულ მცირე ქალაქში რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი გამოდის და ჩვენში კი — ქუთაისი, ფოთი, გორი, სიღნაღი, თელავი და სხ. — მალე თუ ეღირსებიან მათ მაგალითს?

რა ვილაპარაკოთ პროვინციაზე, როდესაც თვითონ ცენტრში—თბილისშიც კი გაჭირდა ქართული გამომცემლობის საქმე.

მაშ რამ უნდა მოუღოს ბოლო ამ კრიზისს?

— კულტურამ, გათვითცნობიერებამ. ყოველი გამოცემა ჩვენში ქველმოქმედებით და დახმარებით კი არ უნდა სარგებლობდეს, არამედ მკითხველი საზოგადოების მიერ.

და აი, როცა გაიზრდება შეგნებულ მკითხველთა რიცხვი, როცა ქალაქს გარდა, სოფელიც იგრძნობს გაზეთის საჭიროებას, აი, მაშინ მოიკიდებს ფეხს ქართული გაზეთი.

პირადად ჩვენი გაზეთიც დღეს მკითხველზეა დამოკიდებული.

უკვე მეცხრე კვირაა რაც გამოდის ჩვენი გაზეთი და ვინც გაითვალისწინებს ფასს ჩვენი გაზეთისას, ადვილად მიხვდება, თუ ყოველ დღე რა დიდ ნივთიერ მსხვერპლს მოითხოვს მისი გამოცემა.

ჩვენი მუდმივი საზრუნავი არის— ჩვენი გაზეთის გაუმჯობესება შინაარსით რომ იგი აკმაყოფილებდეს მკითხველის მოთხოვნილებას, მაგრამ ჩვენი შრომა და ცდა უძლური იქნება, თუ მკითხველი საზოგადოებაც თანაგრძნობით არ მოეკიდება მას...

ვ.

## სოფლისთვის.

მეტად უფერული და უხალისო ჩვენი სოფლის ცხოვრება.

სოფელი მთელი დღე მუდმივ ჯაფაშია, თავწაუხრელად მუშაობს, საღამოთი კი ან კვირა დღეებში დუქანს მიმართავს რომ თავისი უთქმელი დარდი ჩაკლას ღვინოში.

ჩვენი გაზეთის ახ—ლდელი კორესპონდენტიც შემდეგს გვატყობინებს: „სოფელი სწავლა განათლებაზე სულაც არა ზრუნავს. აქაურები ღვინის სმას უფრო მისდევენ, სხვათაშორის ღვინით ვაჭრობას არც ადგილობრივი კოოპერატივი ჩამოუვარდება“ ო-მწუხარე დასძენს კორესპონდენტი.

და განა მარტო ამ სოფელში ხდება ასე? განა მთელ საქართველოში დღეს ასე არ არის?

მოუხედავად იმისა, რომ ბოთლი ღვინო სოფლად დღეს ექვსი თუმანი გახდა სოფლის სამიკიტნოებს დიდი მუშტარი მაინც არ ელევათ.

სოფლის ჯანი და ენერგია ტყუილა უბრალოდ იკარგება ღვინის უთავბოლო სმაში და გარდა ამისა ეხლავე ღვინო არის საბაბი სოფლად ათასგვარ უბედურობისა.

ამასთანავე ახალგაზრდობაც ირყვნება, იხრწნება და ღვინით წაქეზებული ათასნაირ ბოროტ მოქმედების ჩადენას არ ერიდება.

ყველა შეგნებული ქართველი შეწუხდება ამ გარემოებით. მართლაც და ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე—ღვინო შექმნა ჩვენივე ჯალათი და ჩვენი სიცოცხლეს მომსპობი. ქართველის ღვინის სმა განთქმულია და ის ამითაც კვეხულობს ხოლმე თავის მოწონებით.

ჩვენის აზრით, სოფლად ერთიორი გულ შემატკივარი ადამიანი თუ მოიძებნება, ამ საშიშარი სენის თუ ძირიანად მოსპობა არა, მისი განელება მაინც შეიძლება.

სოფლის მასწავლებლებმა, მღვდლებმა, მოხელეებმა განა ვერ უნდა შესძლონ რომ სოფლის ცხოვრება აამოძრაონ?

შეიძლება ის, რაც ეხლა მე ვთქვი ბევრს ხუმრობად ეჩვენოს, მაგრამ ის, რომ ზემოხსენებულ პირებს შეუძლიათ სოფლად გასართობების მოწყობა და მით გლეხის შეჩვევა; არ არის საფუძველს მოკლებული.

ასეთი ცდა ზოგი ერთ ჩვენს სოფლებში დღეს არც ისე იშვიათია.

უპირველესად სოფლის მასწავლებლებმა უნდა შემოიღონ კვირა დღეებით მაინც პატარა საუბრებისა და ლექციების გამართვა სასოფლო—სამეურნეოსა თუ პოლიტიკურ საკითხებზე.

გარდა ამისა შეიძლება ჩვენი ცნობილი მწერლების თხზულებების კითხვაც. პირადად ამ სტრიქონის დამწერს ეს უცდია სოფლად და გლეხობაც მას მუდამ აღფრთოვანებით მისგებია.

ახლავე შეიძლება სამაზრო აგრონომებისა და ინსტრუქტორებისაგან, რომ მათ ხშირად ინახულონ სოფლები და გლეხს მრავალი სამეურნეო რჩევა და თათბირი მისცენ ზეპირად. შეიძლება აქვე ბუნდოვანი სურათებიც იხმარონ.

ამათ გარდა ჩვენ მიერ დასახულ მიზნებისა, ისინი ხელს შეუწყობენ რომელიმე სამეურნეო დარგის პრაქტიკულად შესწავლას.

ამასთან თვეში ერთხელ სოფლის მოწაფეებს შეუძლიათ სალიტერატურო დილა-საღამოებისა და წარმოდგენების გამართვაც, რაც დღეს სოფლად აღარც ისე ძნელია.

ამ რიგად ჩვენი სოფლის ზანტი და ერთ ფეროვანი ცხოვრება ხალისიანი შექმნება, ღვინისა და სამიკიტნოს გარდა იქნება კიდევ მრავალი გასართობი და სულის დამაშვიდებელი, საითაც დაქანცული და ცხოვრების დუხჭირისაგან გაწვალებული გლეხი იმედიანად მიაშურებს...

სოფლის ინტელიგენციაზე დიდათ დამოკიდებულია სოფლის ცხოვრება და მანაც არ უნდა დაიშუროს მისთვის თავისი ძალ ღონე!..

ვაჩე.

ბრძოლა

ნახ. ვალ. სიდ. ერისთავისა

## სკოლის მიზანი.

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი“.

ილია ჭავჭავაძე.

ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის არსებობა ბევრად არი დამყარებული ჩვენში სწავლა-განათლების სათანადო დონეზე დაყენებაზედაც

მთელი საუკუნე რუსეთის მონობაში ვიყავით და ჩვენი სკოლაც იყო მონა რუსეთის კულტურისა.

მეტად უკულმართად იყო მოწყობილი ჩვენი სკოლა. მშობლიური ენა იდევნებოდა, იგმობოდა ქართული ადათები, ზნე-ჩვეულებანი, მაშინდელ სკოლის შემოჰქონდა უვიცობის ზრდა, სამშობლოს დავიწყება, ზნეობრივი სიღარიბე, მახინჯი ცოდნა, მახინჯი შეხედულება. მთელი საქართველოს ახალგაზრდობა მეტადრე ქალაქის სასწავლებლებში გადაშენდა და გადაგვარების გზაზე დადგა და აი სწორედ ეს არის მიზეზი რომ დღეს ჩვენში მრავალმა განათლებულმა ქართველმა ქართული წერა-კითხვა არ იცის, რითაც ასე ფერხდება ჩვენი სახელმწიფოს აშენების საქმე.

და ქართველი დედ მამა გულის ფანცქალით ელოდებოდა, რომ სკოლიდან მისი შვილი გამოსულიყო ან დიპლომიანი ექიმი, ან ვექილი ან ინჟინერი.

აი ასეთი მიზანი, ასეთი იდეალი იქცა მთელი ქართველი ხალხის მიზნად.

ამის ნაყოფი კი ის იყო რომ მთელი ქართული ახალგაზრდობა, ნორჩი თაობა, ვისზედაც იყო დამყარებული ჩვენი ქვეყნის კეთილი მომავალი, იგზავნებოდა რუსეთის სხვა და სხვა კორპუსებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი სწავლის შესაძენად, რომელიც ჩვენს ქვეყანას არ გამოადგებოდა.

ამით ჩვენი ცხოვრება მეტად უკან დაიწია, ჩამორჩა.

მაგრამ პოეტისა არ იყოს: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“. დღეს განთავისუფლებულ საქართველოს ბევრი რამ აქვს მოსაწყობი და უპირველესად სკოლა

დღეს უნდა შემოვიღოთ საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი უფასო სწავლა-განათლება, დღეს ჩვენ გვჭირდება ახალი, გაჯანსაღებული სკოლა ჩვენი ქვეყნის დასაწინაურებლად და გადასახალისებლად, ჩვენი ერის გონებრივი ან ქონებრივი უზრუნველსაყოფად.

ამისათვის არაფერი არ უნდა იქმნას დაზოგვილი არა თუ მთავრობისა, არამედ ხალხისაგანაც, რიგიანად მოწყობილი სწავლა-განათლება ევროპიულ ქვეყნების დაგვარად კულტურულ მუშაობას გააჩაღებს ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში, წინ წასწევს ჩვენს ქვეყანას და ხელს შეუწყობს ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებას და შენარჩუნებას...

მერელი.

## კითხვა-პასუხი.

„სასოფლო გაზეთის“ რედაქციას

„გვაცნობეთ როგორ შეგვიძლიან რძე აუჭრელად შევინახოთ. სოფლად საყინულეები არა გვაქვს და რძე ხშირად გვეჭრება ხოლმე“.

მეურნე ივ. გორელაშვილი.

ს. ო—ნი.

### პასუხი

რძე ჩაასხით სუფთა ბოთლებში, რომელთაც საშრობ ქაღალდს შემოახვევთ ზედ. ბოთლებს წყლით სავსე თუნგებში ჩასდგამთ.

საშრობი ქაღალდი რო წყალს იწოვს ამავე დროს წყალი ორთქლადაც იქცევა ხოლმე. ამ გვარად ბოთლის გარშემო რძისათვის საჭირო სითბო არის, რის წყალობითაც რძის აჭრა ყოვლად შეუძლებელი ხდება.

## დარიგება სოფელში მცხოვრებთათვის

1

### ქათმის წლოვანობა.

ქათამი თავის სიცოცხლეში დასდებს მხოლოდ ექვს ასს კვერცხს. ამის მეტს ვერ დასდებს, რადგანაც საკვერცხე ძალა გამოელევა. პირველს ორ წელიწადს დასდებს ორ წილს და მესამე წილს (ექვს ასსში) დანარჩენ თავის სიცოცხლეში. ამიტომაც არაფერი სარფა არ არის ქათმის შენახვა ორ წელიწადს იქით, იმიტომ რომ როგორც ახალგაზრდა ისე ბებერს ქათამს ერთი და იგივე კვება უნდა და იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ბებერი ქათმის ხორცი არც ისე გემრიელია, როგორც ახალგაზრდისა და მაგარიც არის, ძნელი მოსახარში, ასე რომ ქათმის შენახვა ორ წელიწადს იქით არა ჰღირს.

2

### თურქული.

საქონელს თუ თურქული შეეყარა, ასე უნდა უწამლოთ. აფთიაქში იყიდე ხრომის სიმჟავე, (хромовая кислота). ქართულად „ფერანი“ ჰქვია და რამე ჰურჭელში ჩაასხი ადუღებული წყალი ორი მესამედი ეს სიმჟავე ჩაურიე. ამ სითხეში დაასველე გაპენტილი ბამბა და დაადე იქ საცა თურქული ექნება საქონელს, ჩლიქებში თუ ცხვირ-პირში, სამჯერ ან ოთხჯერ მაინც უცვალე ბამბა. უებარი წამალია.

3

### ჭინჭარი.

მსუსხავი ჭინჭარი ძალიან სასარგებლო რამ მცენარეა. იხმარება კომბოსტოს მაგიერად ადრე გაზაფხულზე, რადგანაც კომბოსტოზე უფრო ადრე ჰყვავის. იჭმევა მხალივით. სისხლ—ნაკლებობის წამლადაც იხმარება. იჭმევა როგორც ყოველი მწვანილი, მხოლოდ მოხარშული. ხშირად სისხლის შემწყვეტ წამლადაც იხმარება ხოლმე. ძროხას რომ მისცე ჭინჭარი სხვა საკვებში არეული, უფრო მეტს რძეს მოიწველის. ფქვილში ან ქატოში არეული დაკეპილი ჭინჭარი ჩინებული საკვებია ცხენისათვის და ღორის გასასუქებლად ხომ კარგზედ კარგია. ჭინჭრის ქსოვილებიც ბევრ-ნაირი რამ კეთდება.

ზამთარშიაც შეიძლება იქონიო ახალი ამოსული ჭინჭარი. ამისათვის საჭიროა შემოდგომაზე ჭინჭრის ბოლქვები დასჭრა და შეინახო სადმე, გინდ ბოსელში. როცა დაგჭირდება ბოლქვი შეიტანე სამზარეულოში, როცა გათბება, მორწყე წყლით და ორი თუ სამი დღის შემდეგ გექნება ახლად აყვავებული ეს მცენარე.

4

### წონა.

ჩვენ გვგონია, რომ ერთი რამ წონა, მაგალითად ერთი ფუთი, ზღვის პირადაც ერთი ფუთია და მთაზედაც მაგდენს, მაგრამ ასე კი არ არის. ზღვის პირას რომ აწონო რამე და გამოგივიდეს, მაგალითად, ათასი ფუთი, სადმე მთაზედ იგივე წონა ორი ფუთით ნაკლები გამოვა. ამით სარგებლობენ ზოგი-ერთი ხორბლის ვაჭრები და ჩარჩები, რომელნიც მთაზედ ნაყიდს ხორბალს ზღვის პირად ასაღებენ და ამ ნაირად იგებენ ტყუილა-უბრალოდ ერთ ფუთს მეტს წონისა.

5

### ჯირკი.

ძალიან ხშირად სოფლელები ახოსა სჩეხენ და სწმენდავენ ტყეებში და არ იციან რა უყონ მიწაში ჩარჩენილს ხის ჯირკვებს ამოთხრა იმათი გაწვალებს მუშებს მუშას და ძვირადაცა ჯდება და ლპობითაც დიდს ხანს არა ლპება. ამიტომაც რამე ხელსაყრელი საშუალება უნდა გამოიგონოს კაცმა', რომ ამ საქმეს უშველოს როგორმე. აი რა ჰქენი როგორც კი რომ მოსჭრი ხეს, მიწაში ჩარჩენილს ჯირკში დიდი ბურღით სამი ან ხუთი ვერშოკის სიღრმეზედ ამობურღე, ჩაჰყარე შიგ გვარჯილა და ხოლო რამ

ჩაურჩე. რამდენიმე დროს იქით ეს გვარჯილა ჯირკს ყველგან გაუჯდება და ცეცხლი რომ წაუკიდო, სწრაფად სულ მთლად დაიწვის ძირიან-ფესვიანად და ჯირკისა აღარა დარჩება რა. თუ მაგარი ხეა, როგორც მუხა, გვარჯილა მეტი უნდა და თუ რბილი ხეა—ნაკლები.

6

### შუყაყი.

ცხენს ან სხვა რამ საქონელს თუ შუყაყი შეხვდა, თბილს წყალში ცოტა ზეთი აურიე და ამითი დაჰბანე ხოლმე ის ადგილი სადაც სტკივა. კარგია კიდევ დაადო ხოლმე მოხარშული ხტაფილო, ან კართოფილი. როცა გაუვლის შუყაყი, ნატკივარი ადგილი თბილი წყლით დაჰბანე ხოლმე და წაუსვი ზეთში არეული ბელეკონი (სკიპიდარი). აფთიაქში იშოვება.

7

### წებოს მაგიერ.

თუ შინ წებო არა გაქვს ან სხვა რამ ამ გვარი, რისამე მისაწებებლად სხვა ქაღალდზედ ან ხეზედ. კარგია ცხელი რძე ან ხახვი. ცხელს რძეში დაასველე ქაღალდი და დადე იქ სადაც მიწებება გინდა, ან წაუსვი გაჭრილი ხახვი ქაღალდს, რომელსაც ხეზედ კი არა, რკინაზედაც ჩიწებულად მიაკრავს ქაღალდს.

8

ბეღელში რომ თაგვი არ გიჩნდეს, ხორბალს დააყარე გარეული პიტნა, რომლის სუნი ძალიან ეჯავრება თაგვს და ვირთხას და ბეღელს ახლოსაც არ მიეკარებიან.

9

ჭრილობას კარგია დაადო კვერცხის ცილა, რომელიც ძალიან მალე შეჰკრავს ხოლმე ჭრილობის პირს. დამწვარ ადგილსაც ძალიან ჰრგებს ცილა.

10

თვალის ანთება თუ დაგემართა, ძალიან კარგი წამალია უცეცხლო თაფლი. ოთხი ან ხუთი წვეთი თაფლი უნდა ჩაიშვა თვალში, რომელიც 3 ან 4 დღეზედ მოგირჩება.

11

საჭმელში რამე თუ გაწყენა, მოუხარშავმა ლორის ხორცმა, სოკომ ან თევზმა, სიტყვით, თუ როგორმე მოიწამლე ძალიან კარგია გადაჰყლაპო წმინდად დანაყული სუფთა ნახშირი, ნაცარი არ უნდა გერიოს.

კოტე ყიფიანი.

# სახნავი მიწა გერმანიაში.

გერმანიაში სახნავ მიწას წლიწადად გამოშვებით მუდამ ასვენებენ.

პირველ წელიწადს პურს რომ მოჰკიან და გაიტანენ შემდეგ ხნავენ, ფარცხავენ და სთესავენ ჭარხლის თესლს, რომელიც შემოდგომაზე უკვე გაზრდილია და გიორგობის თვეში უკვე იღებენ.

ეს ჭარხალი არის თეთრი ბოლოკის მაგვარი, ფოთოლიც ბოლოკისას უგავს და გემოც. მხოლოდ იზრდება გრძელი და მსხვილი მაგალითად, როგორც წითელი საჭმელი ჭარხალი. ამ ჭარხალს აჭმევენ ზამთარში ძროხებს და რძეს მეტს იწველის. ამ ჭარხალს ინახავენ მშრალად მიწაში ან სარდაფებში, რომ არ დასველდეს და ან არ გაიყინოს.

ერთ წელიწადს ორნაირი მოსავალი მოჰყავთ.

მეორე წელიწადს სთესავენ კართოფილს, რომელსაც ძალიან დიდი დამუშავება არა სჭირდება. კართოფილს სჭირდება უფრო სუმბუქი მიწა, და იმიტომ სთესავენ შარშანდელ დამუშავებულ მიწაში, რომელიც თავისუფლად იზრდება და მსხვილდება.

მესამე წელიწადს სთესავენ ფშვრიას რომელსაც მოხვნა არა სჭირდება, მხოლოდ მოფოცხავენ და ისე სთესავენ. ფშვრია როცა გაიზრდება ერთი მტკაველის სიმაღლეზე, შემდეგ შიგა სთესავენ იონჯა ბალახის თესლს. მინამ ფშვრია გაიზრდება და გახმება—იონჯა უკვე ამოსულია. ფშვრიას მომკიან, გაიტანენ და შემდეგ უკეთესად იზრდება იონჯა.

იმ წელიწადს ვიდრე აცივდება აჭმევენ ძროხებს, რომელსაც ყოველდღე უთიბავენ, რაც კი სჭირდებათ. მეორე წელიწადს უკეთესი იონჯა იზრდება, უფრო სქლად და მაღალიც, რომელსაც აგრეთვე მიჰყვებიან ცალ მხრიდან და უთიბავენ ძროხებს ყოველ დღე ახალ-ახალს, რაც კი საჭიროა ერთ დღეს. იონჯა როცა ყვავილშია მაშინ ცხენებსაც აჭმევენ. იონჯას არ აჭმევენ ცხენებს მაშინ, როდესაც ჯერ ქორფაა და არა ყვავის, ეს ცხენს სწყენს.

მთელი ზაფხული ჰკვებამენ ძროხებს შემოდგომამდე, ვიდრე აცივდება.

იონჯას ერთ ზაფხულს თითქმის სამჯერ სთიბავენ იმავე ადგილას, მაგ. თავიდან რომ დაიწყებენ იონჯის თიბვას და ყოველდღე ნაწილ-ნაწილად სთიბავენ,—მინამ ბოლომდე ჩავლენ—კარგახანი გადის და უკვე მეორედ იზრდება თავიდან, კიდევ მოჰყვებიან თიბვას. და შემდეგ კიდევ მესამედ იზრდება და კიდევ თავიდან დაიწყებენ თიბვას. ზოგს ბევრი თუ უთესია და არ დასჭირდა ზაფხულში ძროხებს, მაშინ რჩება და ხმება, რომელსაც გამხმარს მოსთიბავენ და ინახავენ. თუ რომ კარგად არის მოსული და თესლი საკმარისი აქვს—იმას გალეწავენ მანქანით. შემდეგ თესლს თესლად იყენებენ და თვითონ იონჯას კიდევ თივად ხმარობენ

იონჯას საერთოდ დიდი სარგებლობა მოაქვს: პირველი ის რომ ძროხებს მთელი ზაფხული ინახავს, მაძღრისად და მსუქნად, აგრეთვე რძეს ძალიან ბევრს იწველის და უკეთესსაც, რომლისგანაც კარაქი მეტი გამოდის და უფრო ყვითელი და გემრიელიც. ამასთანავე მიწა ისვენებს იმ ერთს წელიწადს და ძაან ანოყივრებს კიდეც იმ ადგილს სადაც ისა სთესია.

მეოთხე წლისთვის შემოდგომაზევე, მოჰხნავენ, დაჰფარცხავენ, კარგად გაასუფთავებენ და შემდეგ სთესავენ უფხოს (თავთუხის პურს) რომელმაც მშვენიერი მოსავალი იცის და აგრეთვე უხვიც.

მეხუთე წელიწადს დასთესავენ ბოსტნეულობას: ძროხების ჭარხალს, სტაფილოს ორნაირს: წითელი წვრილი, რომელიც ჩვენშია და ჩვენც ვხმარობთ საჭმლებში, მეორეს კიდევ ცხენებისთვის, რომელიც არის ყვითელი და თეთრი, იზრდება ძალიან მსხვილი, ისე რომ ზოგი აიწონის 6—7 გირვანქას. ამას აჭმევენ ცხენებს შიგა და-შიგ ზამთარში. ამასაც ინახავენ აგრეთვე მშრალად და გრილად, რგავენ კიდევ კომბოსტოს და აგრეთვე სთესავენ სელს: რომლისაგანაც აკეთებენ ზეთს და თოკს.

მეექვსე წელიწადს დასთესავენ ქერს. გერმანიაში ცხენებს ქერს არ აჭმევენ, როგორც მაგ. ჩვენში ბევრი აჭმევს ცხენებს ქერს, იქ ყველა აჭმევს ცხენებს შვრიას. ქერს სცეხვამენ და საჭმელში ხმარობენ. ფქვილად კი მხოლოდ ეხლა ომის დროს ცოტას ხმარობდნენ.

ყოველ წელიწადს ესე უცვლიან მიწას სხვა და სხვა მცენარესაც, რის გამოც ყოველი ფერი კარგი იზრდება და ნაყოფიერიც. ამგვარად მიწაც არ ილევება.

აგრეთვე როცა ტყეს ამოჰყრიან და გაასუფთავებენ, შემდეგ სთესავენ შიგ ერთგვარ მიწის მარგებელს, რომელიც ჩვენში არ არის და არც შემიძლიან ქართული სახელი უწოდო. ამ ჩვენთვის უცნაურს თესლს გერმანელები ეძახიან ლუპინას) რომელიც მიწას ძალიან ასუქებს. პირველ წელიწადს დასთესავენ ლუპინას, რომელიც გაიზრდება და შემდეგ აყვავდება, პარკებს იკეთებს როგორც ცერცვი, მხოლოდ მწარეა საჭმელად. ლუპინა თუ ადრე დაითესა მოესწრობა გახმობას, რომელსაც მომკიან, გალეწავენ და მარცვალს სათესლედ ინახავენ და კაჭაჭს კი დაალპობენ და მიწას მოაყრიან და ისე ჰხნავენ თუ რომ ვერ მოასწრო პარკის გაკეთება და ნედლად დარჩა, მაშინ როგორც არის, ისევე რჩება და შემოდგომაზე შიგვე ჩახნავენ მიწაში. ზამთარში ის დალპება მიწაში და გაზაფხულზე კიდევ მოხნავენ მეორედ და შიგ დასთესავენ კართოფილს ან სხვა რომელიმე ბალახს, რომელსაც სთიბავენ და აჭმევენ საქონელს ზაფხულში.

არაყოფილა ისეთი მაგალითი რომ, გერმანელების დამუშავებული მიწა მომცდარიყოს და მოსავალი არ მოსულიყოს. იმ შემთხვევაში თუ პატრონი მცოდნე იყო და მიწას კარგად ამუშავებდა მოსავალიც კარგი მოსდიოდა.

ხშირი შემთხვევა ყოფილა, რომ დიდი მემამულეები რაკი მიწას თითონ არ ამუშავებდნენ და მოურავების ხელში იყო ხოლმე, ყურადღებას არ აქცევდენ მიწის პატივს და იმისთვის მათ მიწებში ნაკლები მოსავალი მოდიოდა ხოლმე.

ყველა გლეხს კი, რომელიც თავის მამულს თავის მარჯვენით დაამუშავებდა იმას ყოველთვის დიდ მემამულეზე უკეთესი მოსავალი მოსდიოდა.

ტყვ. ნამყ. ი. სონღულაშვილი

# საქონლის სასუქი და მისი შენახვა.

ყველა იმ სასუქებთა შორის რაც-კი შეეხება, რომ მიწის გასანოყიერებლად ვიხმაროთ, ამათ შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს საქონლის ნეხვსა და შარდს. საქონლის სასუქი არის მთლიანი სასუქი, რომელიც ერთის მხრივ აწვდის მიწას ყოველნაირ საზრდოს მცენარესათვის საჭირო ნივთიერებას, მეორე მხრივ-კი აუმჯობესებს მიწის ფიზიკურ თვისებებს. იმის გამო, რომ საქონლის სასუქში მყოფი ორგანიული ნივთიერებანი მიწაში ლპებიან და იშლებიან, მიწას ეძლევა სითბო და სიფხვიერე აგრეთვე მიწა მდიდრდება „ჰუმოზითი“, რომელიც აგრეთვე მიწის თვისებებზე საუკეთესო გავლენას ახდენს. საქონლის სასუქით განოყიერებული მიწა, ამის გარდა, რომ ზემოდ მოყვანილი თვისებები უმჯობესდება, ინახავს აგრეთვე სინოტივეს, რომელსაც მიწა გვალვების დროს გამოიყენებს და ზედ დანათესი მცენარე უწყლობით და უავდრობით ნაკლებ გაჭირვებას გამოივლის ხოლმე. თუ მიწა სასუქის მეოხებით გავაფხვიერეთ, ამ გვარი მიწა წვიმისა და მორწყვის დროს წყალს იღებს, ღრუბელივით იჟღინთება და არ უშვებს წყალს უცბად ჩაირბინოს და უგზო-უკვლოდ ძირს მკვდარ მიწაში დაიკარგოს. საქონლის სასუქის ქიმიური შემადგენლობა და მისი გავლენა მუდამ ერთ გვარი არ არის. ეს არის დამოკიდებული:

1) თვით საქონლის სიბერე-სიჯეილეზე და მისი საკვებავ საზრდო საჭმელზე.
2) სასუქის მოვლა შენახვაზე.
3) სასუქის სიძველ—სიახლეზე.
4) საქონლის ქვეშ დანაგებ ჩალაზე.

საჭმელი საქონლის კუჭში და ნაწლევებში ბევრ ნაირ ცვლილებებს მიიღებს ხოლმე. საჭმლიდან საქონელი იყენებს თვის სასაზრდოოთ ყველა იმ ნივთიერებებს, რაც კი შეიძლება, რომ მაგ ადვილად გადაიმუშაოს და მოინელოს, რაც-კი მოუნელებელი რჩება ეს გამოდის ნაწლევების საშუალებებით გარედ, რასაც ჩვენ ნეხვს ვეძახით. მცენარის სასაზრდოო ნივთიერებანი საჭმლის გადამუშავებით კუჭში, სრულიად არაფერი იკარგება. აზოტი და მინერალური ნივთიერებანი არ იკარგებიან, რომელნიც თან გამოსდევენ ნეხვსა და შარდს. ნეხვი პროცენტიულად (შედარებით) უფრო მდიდარია ორგანიული ნაწილებითა და ფოსფორის სიმჟავით, ვიდრე შარდი.

ფოსფორის სიმჟავე იპოვება მცენარეულობით მკვებავთა ცხოველების შარდში ან სულ არა, ან კიდევ ძალიან ცოტა. სამაგიეროდ ბევრი იპოვება ხორცისა და ყველაფრის მჭამელთა შარდში. ნეხვის უძვირფასესი შემადგენელი ნაწილი არის აზოტი. ამიტომ ნეხვის ფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ აზოტს შეიცავს იგი. ნეხვისაგან აზოტი, გაცილებით უფრო ძნელი გამოსაყოფია, ვიდრე შარდისაგან. ეს აზოტი უფრო ნაკლებ ფასიანია, ვიდრე შარდისა შარდი უფრო მდიდარია კალითა და მარილეულობით და აგრეთვე მდიდარია აზოტით (ღორის შარდის გარდა), ვიდრე ნეხვი.

საქონლის სასუქი შესდგება:

1) ნეხვის მაგარი ნაწილებისაგან.
2) საქონლის ქვეშ დანაგები ჩალისაგან.
და 3) შარდისაგან.

ახლა სასუქი შესდგება ორთაშუა რიცხვით 25 პროც. მშრალ ანუ მაგარი ნაწილებისაგან და 75 პროც. წყლისაგან.

ყველა მეურნე უნდა ეცადოს და ახალ სასუქს ისე მოუაროს, რომ სასუქში მყოფი ნივთიერებანი უკლებლივ შეინახოს. მაგარი და სითხის მაგარი ნაწილები საქონლის ნეხვისა და შარდისა, ერთი მეორესთან შეერთებით მთლიანად ავსებენ ერთი მეორის ნაკლულევანებას, მცენარეთა სასაზრდოო ნივთიერებათა მხრივ, რაც ამ რიგათ შეზავებული უფრო უკეთესათ მოქმედობს მიწის განოყიერებაზე.

რომ უფრო დავაჩქაროთ სასუქის მოქმედება, ამიტომ საჭიროა მისი შენახვა შემდეგ ნაირად: უნდა ნეხვს ნელ ნელა შიგ ურიოთ თიხა ნარევი მიწა და თან ზევიდან ამ მიწასვე კარგა სქლად ვაფარებთ, რომ სიცხემ და წვიმამ არ ჩაატანოს და ამით არ ამოირთქლოს და არ გაირეცხოს. ამ შენახვით აზოტი სასუქში თითქმის უკლებლივ ინახება, არა ორგანიული ნაწილების ფორმით, არამედ უმეტეს ნაწილათ ამონიაკისა და სალფეტერის მაგივრად. მეორე ნაირათ შეიძლება ასე შევინახოთ: უნდა ამოვთხაროთ მიწა, ამ თხრილს ძირში დაუგებთ ბეტონს (ქვიშას და ცემენტს $^3/_4$ ქვიშა და $^1/_4$ ცემენტი). გვერდებსაც ბეტონითვე ამოიყვანთ და ზემოდგან გაუკეთებთ რკინის ან ხის სახურავს. ამ ნაირად მომზადებულ სანეხვეში, სასუქი სრულიად ინახება, რადგან ბეტონი არც ძირს და არც გვერდებიდან სისველეს ნეხვისას არ გაუშვებს და სახურავი კიდევ ზევიდან დაიფარავს წვიმისა და სიცხისაგან.

ვინც ორმოს ბეტონს არ გაუკეთებს ძირზე და გვერდებზე, რაც დიდად სასურველია, მაშინ სასუქისათვის ორმო ისეთ ადგილას უდა ამოთხაროს და მიწის ისეთი ნადაგი შეარჩიოს, რომ ნეხვის სისველე ნაკლები დაიკარგოს.

დასასრულ სასუქი თავის დღეში მინდორში არ უნდა დაყაროთ, ან გაფანტოთ. რა წამს მიწაზე გაიტანეთ მაშინვე გაშალეთ გაშალეთ და მოხანით. რომ სასუქმა ამოშრობით კარგი თვისება არ დაკარგოს.

აგრ. რევაზ გედევანიშვილი

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი ნ. ქაიშაური.

სტამბა ამხ. „ხელოვნება“ ველიამინოვის ქუჩა 20.